

ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი - „პროგრესის სახლი“-ს საგაზეთო ჩანართი №9 - 2020 წელი

# თვითგმართველობა

## ინფორმაციის კვება

მომზადებულია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის მიხედვით

2020 წლის ბიუჯეტის სრული ვერსია იხილეთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდზე [www.chokhatauri.ge](http://www.chokhatauri.ge)



### პრიორიტეტი

(პროგრამული კლასიფიკაციის კოდი - 06.00)

## მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტის ბიუჯეტი  
625 900 ლარი

### პროგრამა 06.01

## საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის ბიუჯეტი:  
85 000 ლარი



პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, აღნიშნულ ფარგლებში დაფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდებ დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

პროგრამის განმახორციელებელი - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

### პროგრამა 06.02

## სოციალური პროგრამები

პროგრამის ბიუჯეტი:  
540 900 ლარი



მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა.

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ მიზნობრივი ტრანსფერით, ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით. პროგრამა ითვალისწინებს სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის განმახორციელებელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური



## ქვეპროგრამა 06.02.01

### დაკრძალვის ხარჯი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:  
2 000 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მონაწილე ვეტერანებისა და საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე პირების დაკრძალვის (სარიტუალო) ხარჯის დაფინანსება.


პროგრამის განმახორციელებელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური



## ქვეპროგრამა 06.02.03

სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახებისადმი ერთჯერადი დახმარება, გადაუდებელ შემთხვევაში ბინის შესყიდვის ან დაქირავების ხარჯი

პროგრამის ბიუჯეტი:  
96 900 ლარი



სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისა და მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება.

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია დახმარება გაენიოს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს 5000 ლარამდე ერთჯერადად, დროებით თავშესაფრის უზრუნველყოფისათვის მოხდება 20 ოჯახის ბინის ქირით უზრუნველყოფა 110.0 ლარის ოდენობით

პროგრამის განმახორციელებელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

## ქვეპროგრამა 06.02.04

### დევილთა დახმარება

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:  
16 000 ლარი

ქვეპროგრამით დახმარება ეძლევა სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან დევნილ ოჯახებს ზამთრისათვის სათბობის შექმნაზე 200 ლარის ოდენობით, სხვა გადაუდებელი საჭიროებებიდან გამომდინარე არაუმეტეს 100 (ასი) ლარი, დაკრძალვის ხარჯი ერთჯერადად არაუმეტეს 250 ლარისა (10,0 ათასი ლარი)

პროგრამის განმახორციელებელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

## პროგრამა 06.02.05

საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება

პროგრამის ბიუჯეტი:  
21 000 ლარი

ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება ეძლევა 1989 წლის 9 აპრილს მონაწილედ ორ პიროვნებას და ერთი დაღუპულის ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, მონაწილეს ყოველთვიურად 150 ლარი, სულ 5100 ლარი. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა 3 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, სულ 1 500 ლარი.

აფხაზეთის დაცემის დღესთან დაკავშირებით ომში დაღუპულთა 8 ოჯახს ერთჯერადად 500 ლარი, სულ 4 000 ლარი. ყოველთვიურად ერთ ოჯახს 300 ლარი, სულ 3 600 ლარი. ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სათბობის შესაძენად თითოეულ ოჯახს 200 ლარი, სულ 2800 ლარი.

პროგრამის განმახორციელებელი - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური

